

## თავსებადობა / პრერეკვიზიტები

### აუტენტიფიკაცია დიჯიტალური მემოების მეშვეობით

თქვენ დაგჭირდებათ:

- სისტემის ინფრასტრუქტურაში წინასწარ დარეგისტრირებული დიჯიტალური მემოები

თავსებადობა:

- ნებისმიერი ინტერნეტ-ბრაუზერი;
- ნებისმიერი ოპერაციული სისტემა.

### აუტენტიფიკაცია სმარტ-ბარათის მეშვეობით

თქვენ დაგჭირდებათ:

- სისტემის ინფრასტრუქტურაში წინასწარ დარეგისტრირებული სმარტ-ბარათი
  - ზოგიერთ შემთხვევაში, სმარტ-ბარათის დრაივერი, თუ ბარათს არ გააჩნია ოპერაციულ სისტემაში ჩაშენებული დრაივერი (Plug and Play);
- ე.წ. „სმარტ-ბარათის წამკითხველი“
  - ზოგიერთ შემთხვევაში, დრაივერი, თუ წამკითხველს არ გააჩნია ოპერაციულ სისტემაში ჩაშენებული დრაივერი (Plug and Play).

თავსებადობა:

- Microsoft Windows ოპერაციული სისტემა PKCS - ღია გასაღების კრიპტოგრაფიული სტანდარტების ოჯახის მხარდაჭერით;
  - სხვა ოპერაციულ სისტემებს დასჭირდება დამატებითი კონფიგურირება.
- ინტერნეტ-ბრაუზერი, რომელსაც გააჩნია სმარტ-ბარათის / სერტიფიკატების საცავის მხარდაჭერა (Client Certificates, Certificate Store). აუტენტიფიკაციის სისტემა შემოწმებულია და გარანტირებულად მუშაობს „default“ კონფიგურაციით შემდეგ ბრაუზერებში: Internet Explorer, Google Chrome.
  - Mozilla FireFox-ს ასევე გააჩნია აღნიშნული რეჟიმის მხარდაჭერა დამატებითი პარამეტრების მითითებით.